

ბათუმის I საერთაშორისო სიმპოზიუმის მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოებისადმი

თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ფილოლოგიური მეცნიერებისა და კულტურის სინთეზია, კულტურის ცნების უადრესად ფართო გაგებით. ნებისმიერი ერის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი ენის მეშვეობით რეალიზდება, ენა კი მთელი თავისი სისავსითა და სიმდიდრით ლექსიკონებშია ფიქსირებული.

ლექსიკონის, როგორც ერის კულტურული სახის გამომხატველი ნაშრომის, განსაკუთრებული როლის აღიარებამ, ლექსიკონთა კორპუსების კულტურული და პოლიტიკური (სტრატეგიული) მნიშვნელობის გაცნობიერებამ განაპირობა ლექსიკოგრაფიული აქტივობის უპრეცედენტო აღმავლობა ევროპასა და ამერიკაში. შეიქმნა უამრავი ლექსიკოგრაფიული ცენტრი, გაფართოვდა თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ლექსიკოგრაფიის დარგში, გაიზარდა გამოშვებული ლექსიკონების ტიპები და ასორტიმენტი. ლექსიკოგრაფიის დონე ევროპული ქვეყნების განვითარების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად გვევლინება.

ამ ვითარების ფონზე მდგომარეობა ქართული ლექსიკოგრაფიისა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს, სერიოზული განგაშის საფუძველს იძლევა. ლექსიკოგრაფის კოლოსალური შრომა დღევანდელ საქართველოში თითქმის სრულიად დაუფასებელია, კერძოდ:

- ლექსიკოგრაფის შრომის შედეგი არსებითად არ არის მიკუთვნებული სამეცნიერო კატეგორიას საზოგადოდ და, კერძოდ კი, დღევანდელი კონკურსებისა და სარეიტინგო შეფასებების დროს, მაშინ როდესაც სალექსიკონო სიტყვა-სტატია ხშირად უფრო ფართო სამეცნიერო კვალიფიკაციას გულისხმობს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული კვლევითი სტატია;
- ლექსიკოგრაფიულ შრომასა და მის პროდუქტს დღემდე არა აქვს მინიჭებული ღირსეული კონკურენტის უფლება საგრანტო კონკურსების პირობებში;
- ლექსიკოგრაფის უმძიმესი შრომის ანაზღაურება სრულიად შეუფერებელია, რის გამოც მას არსებობის წყაროს მოპოვება სხვა აქტივობებით უხდება;
- ლექსიკოგრაფს არ ანიჭებენ აკადემიურ (სამეცნიერო) ხარისხს მის მიერ შექმნილი ლექსიკოგრაფიული პროდუქციისათვის;
- ლექსიკოგრაფია საერთოდ არ აისახება სახელმწიფო პრიორიტეტებს შორის.

ქართული სახელმწიფო ენის მომავალი, მისი ღირსეული პარტნიორობის საკითხი მსოფლიოს მოწინავე ენებთან მთლიანად არის დამოკიდებული თანამედროვე ლექსიკოგრაფიის განვითარებაზე ჩვენს ქვეყანაში.

დასამალი არ არის, რომ დღეისათვის ძირითადი და სავალდებულო ლექსიკონების თვალსაზრისით მკვეთრად ჩამოვრჩებით იმ დონეს, რომელიც ევროპული სტანდარტებით მოეთხოვება განვითარებული მწიგნობრობის ქვეყანას, და ეს ჩამორჩენა თანდათანობით გამოუსწორებელ ხასიათს იძენს.

ასეთ ვითარებაში დარგს დაღუპვა ემუქრება; თუ ქართველი საზოგადოება და ქართული სახელმწიფო სათანადოდ არ გააცნობიერებს ლექსიკოგრაფიის

მნიშვნელობას ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებისათვის, და დაუყოვნებლივ არ მიიღებს ზომებს დარგის გადარჩენისათვის საქართველოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საბოლოოდ ვამბობთ უარს ჭეშმარიტ ინტეგრაციაზე ევროპულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში, უარს ვამბობთ ეროვნული ენისა და კულტურის განვითარებაზე ევროპული მოთხოვნების შესაბამისად.

ბათუმის I საერთაშორისო სიმპოზიუმმა ლექსიკოგრაფიაში შეიმუშავა **რეკომენდაციები** საქართველოს მთავრობისადმი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისადმი, რომელთა გატარება აუცილებელია დარგის გადარჩენისათვის:

- *ლექსიკოგრაფია ქვეყანაში უნდა გამოცხადდეს პრიორიტეტულ დარგად, უნდა შემუშავდეს ლექსიკოგრაფიული საქმიანობის გაშლის ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც ქართული ენის განმარტებით და ისტორიულ ლექსიკონებს, დარგობრივ სპეციალურ ლექსიკონებს, ასევე თარგმნითსა და ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას;*
- *ლექსიკოგრაფიული ეროვნული პროგრამა და პროექტები სათანადოდ უნდა დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ;*
- *ლექსიკოგრაფის შრომა უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო საქმიანობად, ხოლო ლექსიკოგრაფიული პროდუქტი (სიტყვა-სტატია, ლექსიკონი) – სამეცნიერო ნაშრომად, რაშიც მეცნიერს უნდა მიენიჭოს სათანადო აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხი;*
- *უნივერსიტეტებში უნდა დაინერგოს სპეციალური აკადემიური პროგრამები მომავალი ლექსიკოგრაფების მოსამზადებლად;*
- *ლექსიკოგრაფიული პროექტები უნდა განხორციელდეს მაღალ აკადემიურ საფუძველზე, ხოლო შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის შესანარჩუნებლად უნდა შემუშავდეს ექსპერტიზის წესი და მექანიზმი (ზემოხსენებული ეროვნული პროგრამის ფარგლებში);*
- *მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ამ სამეცნიერო-კულტუროლოგიური საქმიანობის ღირსეულ წარმოჩენას.*